"საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 1. "საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 17.

3. კომიტეტი, დროებითი საგამოძიებო კომისია მის შემადგენლობაში შემავალი პარლამენტის წევრისათვის ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლების მინიჭების შესახებ წინადადებას წარუდგენს პარლამენტის თავმჯდომარეს, გარდა ამ რეგლამენტის 28-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებული საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის სამუშაო ჯგუფში შემავალი პარლამენტის წევრებისა, რომლებსაც უფლება აქვთ, შევიდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სპეციალური ნებართვისა და პარლამენტის თავმჯდომარის წინაშე წარდგინების გარეშე.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი